

საერთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელობა სახელმწიფოს შიგნით ფინანსური რესურსების მობილიზაცია და განვითარებაში*

მელა ჭალიძა

ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
medach7@yahoo.com

<https://doi.org/10.35945/gb.2018.06.034>

თამარ ბერიძე

ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
t.beridze@yahoo.com

საკვანძო სიტყვები: ფინანსური რესურსები, საგადასახადო დისციპლინა, სახელმწიფო ფინანსების მართვა, სახელმწიფო შემოსავლები, შიგნით რესურსების მობილიზაცია

მდგრადი განვითარების ეროვნულ სტრატეგიებში სახელმწიფო დაფინანსებისთვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება შიგნით რესურსების აქტიურ მობილიზაციას. საჯარო რესურსების მობილიზების კუთხით საგადასახადო შემოსავლების განსაკუთრებული როლი უკავშირდება მათ უფრო მეტ სტაბილურობასა და პროგნოზირებად ხასიათს გრძელვადიანი დაფინანსების სხვა წყაროებთან შედარებით.

საბიუჯეტო შემოსავლების ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორს მასტიმულირებელი მაკროეკონომიკური პოლიტიკის გატარება წარმოადგენს, ვინაიდან იგი ხელს უწყობს ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას. უმრავლეს განვითარებად ქვეყნებში ეკონომიკურ ზრდაზე დიდ გავლენას ახდენს მსოფლიო ეკონომიკის დინამიკა. მსოფლიოში მოთხოვნის სწრაფი ზრდა, როგორც წესი, შესაძლებლობას აძლევს განვითარებადი ქვეყნების კომპანიებს მიიღონ შემოსავლები ექსპორტიდან, რომლებიც ეროვნულ საგადასახადო რეჟიმებზე დამოკიდებულებით გარდაიქმნებიან გადასახადებად და სახელმწიფოს სხვა შემოსულობებად.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია საშუალოვადიანი საბიუჯეტო დაგეგმვის მხარდაჭერაზე და შედგება ანალიტიკური ინსტრუმენტებისგან, რომლებიც განვითარების მიზნებიდან გამომდინარე განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური შესაძლებლობების გათვალისწინებით მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევიან შიგნით რესურსების მობილიზების სხვადასხვა მოკლევადიან და საშუალოვადიან ვარიანტებზე.

მიუხედავად იმისა, რომ შიგნით რესურსების ძირითად

წყაროს ეკონომიკური ზრდა წარმოადგენს, სახელმწიფო შემოსავლების ზრდაში დიდ როლს თამაშობს სწორად ჩამოყალიბებული და მოქნილი მექანიზმების არსებობა. ასეთ მექანიზმს წარმოადგენს, მაგალითად, პროგრესული საგადასახადო სისტემის დანერგვა. რა თქმა უნდა, ყველა ქვეყნისათვის გამოსაყენებელი საერთო მოდელის შექმნა და შეთავაზება შეუძლებელია, მაგრამ ცნობილია, რომ იმ ქვეყნებში, სადაც საგადასახადო შემოსავლები მშპ-ის 15%-ზე ნაკლებია, სახელმწიფოს ძირითადი ფუნქციების შესრულების კუთხით სერიოზული პრობლემები არსებობს. მსოფლიოს ყველაზე ღარიბი ქვეყნების დაახლოებით ნახევარში საგადასახადო შემოსავლები სწორედ ამ ნიშნულს არ აღემატება. (Gaspar, და სხვ., 2016:23)

რასაკვირველია, საგადასახადო კანონმდებლობის დაცვა, დარღვევების აღმოფხვრა და გადასახადებისგან თავის არიდების ფაქტების შესწავლა შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების საქმეა, მაგრამ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ის, რომ რიც ქვეყნებში მსგავსი პრობლემების აღმოფხვრას ხელი შეუწყო ეროვნული საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილებამ და დახვეწამ. ამ სფეროში რეფორმები უნდა უზრუნველყოფდნენ: ა) წონასწორობის დაცვას მოკლევადიან პერიოდში შემოსულობების ზრდის შესაძლებლობების ამაღლების თვალსაზრისით ისეთი ღონისძიებების გატარებით, როგორცაა ირიბი გადასახადების განაკვეთების ცვლილება; ბ) საშუალოვადიანი მიზნების მიღწევას ისეთი ღონისძიებების გატარებით, როგორცაა პირდაპირ გადასახადებზე პროგრესული შკალის დაწესება. გარდა ამისა, ჩრდილოვანი ეკონომიკის არსებობასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოსაფხვრელად საჭიროა დამატებითი ღონისძიებების გატარება, მ.შ. გადასახადების გადამხდელთა და გადასახადების აკრეფის სისტემის ეფექტურობის მნიშვნელოვანი ამაღლება.

ზემოთქმულთან ერთად, ბუნებრივი რესურსებით მდი-

* კვლევის შედეგები წარმოდგენილ იქნა I ეროვნულ სამეცნიერო კონფერენციაზე „ეკონომიკური მეცნიერების კრიზისი და ახალი პარადიგმების ძიება“

დარ განვითარებად ქვეყნებში განსაკუთრებით აქტუალურია ნედლეულის მოპოვებასა და გადამამუშავებიდან მიღებულ შემოსავლებში სახელმწიფოს წილის გაზრდის არსებული შესაძლებლობების შესწავლა და გადახედვა სახელმწიფოს როლის გაზრდის მიმართულებით.

შემოსავლებისგან განსხვავებით, განვითარებადი ქვეყნების მთავრობებს კიდევ უფრო მეტი ყურადღება მართებით ხარჯებთან დაკავშირებით, ვინაიდან ამ ქვეყნებში სახელმწიფო ხარჯების სტრუქტურა საკმაოდ მაღალი ხარისხის მოუქნელობით ხასიათდება. ამას განაპირობებს ის ფაქტორი, რომ სახელმწიფო ხარჯების უდიდეს ნაწილს მიმდინარე ხასიათი აქვს და გამოირჩევა მკვეთრი ცვალებადობით. ამგვარ პირობებში, განვითარებად ქვეყნებს სტრუქტურული ტრანსფორმაციის პროცესების მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო ფინანსების მართვის ძირეული ცვლილების განსახორციელებლად მეტად შეზღუდული შესაძლებლობები გააჩნიათ. ისევე, როგორც საგადასახადო შემოსავლების შემთხვევაში, აქაც საჭიროა რეფორმების ეტაპობრივად გატარება ეროვნული პრიორიტეტების გათვალისწინებით. განსაკუთრებით გასათვალისწინებელია უმნიშვნელოვანეს სფეროებში ინვესტიციებისა და ხარჯების, მ.შ. სოციალურ დაცვაზე მიმართული ხარჯების, მისაღები დონის დადგენა. ის ქვეყნები, რომლებიც დამოკიდებული არიან ნედლეულის ექსპორტზე, ნედლეულზე ფასების შემცირების შემთხვევაში იძულებული ხდებიან შეამცირონ სოციალური ხარჯები. ამიტომ სოციალური დაცვის მინიმალური რეალური დონის დადგენა და შენარჩუნება მოითხოვს შესაბამისი მექანიზმების შექმნას, რომლებიც უზრუნველყოფს მთელი ეკონომიკური ციკლის განმავლობაში ხარჯების სტაბილური დონის შენარჩუნებას.

მდგრადი განვითარების ინტერესების შესაბამისად, შიგა სახელმწიფო რესურსების მობილიზებაში დიდი როლის შესრულება შეუძლიათ განვითარების ნაციონალურ ბანკებს. როგორც წესი, კერძო სტრუქტურები უპირატესობას ანიჭებენ კომერციული საქმიანობის დაფინანსებას. ამ დროს ძირითად ხარვეზს წარმოადგენს არასაკმარისი დაფინანსების არსებობა ეკონომიკური ტრანსფორმაციის ინტერესებიდან გამომდინარე, რომელიც დაკავშირებულია მსხვილმასშტაბიან პროექტებთან, მაღალ რისკებთან და თანხების ხანგრძლივ ამოღებადობასთან. ამ პრობლემების საკუთარ თავზე აღება კერძო ბანკებს არ სურთ. მათგან განსხვავებით, განვითარების ნაციონალურ ბანკებს საკუთარი პასივების სტრუქტურიდან გამომდინარე შეუძლიათ და ვალდებულიც არიან დააფინანსონ გრძელვადიანი პროექტები, მ.შ. ინფრასტრუქტურული პროექტები, კაპიტალტევადი დარგები და სტრატეგიული სექტორები. ისინი, როგორც წესი, არა მხოლოდ სესხების გაცემას ახორციელებენ, არამედ მონაწილეობენ აქციონერულ კაპიტალში და ამგვარად დაინტერესებული არიან პროექტების წარმატებით

განხორციელებაში და მათ კონტროლში. განვითარების ნაციონალურ ბანკებს შეუძლიათ მიიღონ კვალიფიციური გადაწყვეტილებები პროექტების ხარისხის ამაღლებისათვის, მოიზიდონ კაპიტალი სხვა წყაროებიდან და ა.შ. შესაბამისად, განვითარების ნაციონალური ბანკები გარდაიქმნენ პოლიტიკის მრავალფუნქციურ ინსტრუმენტებად, რომლებიც ხელს უწყობენ საბაზრო მექანიზმების ფუნქციონირებაში არსებული ხარვეზების გამოსწორებას და ეკონომიკური ზრდის შემადგენელი ფაქტორების აღმოფხვრას. (Her-
mann, 2010:189-204)

განვითარების ნაციონალურ ბანკები, როგორც წესი, მთლიანად სახელმწიფოს საკუთრებაშია, თუმცა შესაძლოა ჰყავდეთ კერძო აქციონერებიც. (De Luna-Martinez, და სხვ. 2012, გვ. 9) მსოფლიოში ამჟამად 250-ზე მეტი მსგავსი ბანკი ფუნქციონირებს ძირითადად აზიაში, ლათინურ ამერიკაში, კარიბის ზღვის აუზში, აფრიკაში და ახლო აღმოსავლეთში. 2008 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისის პირობებში ამ ბანკების მიმართ ინტერესი კიდევ უფრო გაიზარდა, ვინაიდან ქვეყნებს ეკონომიკის ასაღორძინებლად სჭირდებოდათ გრძელვადიანი დაფინანსების წყაროები. ღარიბ და მცირე ზომის განვითარებად ქვეყნებში საქმე უფრო რთულადაა, ვინაიდან შეზღუდული ტექნიკური და ფინანსური შესაძლებლობების პირობებში მათ მეტი სირთულეები ხვდებათ აღნიშნული ბანკების შექმნის გზაზე. ამ ქვეყნებისთვის ყველაზე კარგი გამოსავალია რეგიონალური ძალისხმევის გაერთიანება (ა) სუბრეგიონალური ბანკების შექმნის მიზნით, ან (ბ) უკვე არსებული ბანკების, როგორც რესურსების გაერთიანებისა და ფინანსური სიძნელეების ერთობლივად გადაჭრის ინსტრუმენტის, გასაძლიერებლად. (Studart, და სხვ., 2016:67)

2008 წლის გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა კვლავ გამოიწვია პოლიტიკური ინტერესის გაღვივება განვითარების ნაციონალური ბანკების მიმართ, ერთის მხრივ იმის გამო, რომ ქვეყნებს წარმოექმნათ გრძელვადიანი დაფინანსების წყაროების საჭიროება ეკონომიკის ასაღორძინებლად, ხოლო მეორეს მხრივ, ამ ბანკების საერთაშორისო აღიარების განუხრელი ზრდის გამო. (UNCTAD, 2016a:41)

რაც შეეხება უკანონო ფინანსურ ნაკადებს და მათ როლს, დღემდე არ არსებობს ერთიანი შეთანხმებული განმარტება. ისინი, როგორც წესი, იყოფიან ნაკადებად, რომლებიც წარმოადგენს ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგს, კორუფციული წარმომავლობის ნაკადებად და საგადასახადო სფეროსთან დაკავშირებულ ნაკადებად. ემპირიული შეფასებები ადასტურებს, რომ უკანონო ფინანსური ნაკადების მთლიანი მოცულობის დაახლოებით 1/3 მოდის დანაშაულებრივ ფულზე, რომლებიც დაკავშირებულია ნარკოტიკებით ვაჭრობასთან, ტერორიზმის დაფინანსებასთან და რეკეტთან; კორუფციული გზით მიღებული რესურსები შეადგენს უკანონო ფინანსური ნაკადების მთელი

მოცულობის მხოლოდ 3%-ს, ხოლო საგადასახადო ხასიათის ტრანსსასაზღვრო ოპერაციებზე მოდის უკანონო ფინანსური ნაკადების მთლიანი მოცულობის დანარჩენი 2/3 ნაწილი. (ЮНКТАД, 2014:47)

უკანონო ფინანსური ნაკადები დაკავშირებულია რესურსების მართლსაწინააღმდეგო მიღებასთან, გადაგზავნას ან გამოყენებასთან. განვითარებადი ქვეყნებიდან მომდინარე უკანონო ფინანსურ ნაკადებთან დაკავშირებით საერთო ამოცანას წარმოადგენს სწორედ იმ ნაკადების გამოვლენა, რომლებიც ეკონომიკური განვითარებისთვის პოტენციურად საშიშად შეიძლება იქნას მიჩნეული. განვითარებადი ქვეყნები არაგამჭვირვალე საერთაშორისო საფინანსო სისტემის პირობებში ქვეყნიდან კაპიტალის აქტიური გადინების გამო კარგავენ საკუთარი განვითარებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელ რესურსებს. განვითარებადი ქვეყნებიდან კაპიტალის უკანონო გადინება, როგორც წესი, ადასტურებს ამ ქვეყნებში სახელმწიფო მმართველობის სფეროში ღრმა სტრუქტურული პრობლემების არსებობას. ამგვარად, უკანონო ფინანსურ ნაკადებთან დაკავშირებული არასტაბილურობა ასახავს აქტუალური პოლიტიკური პრობლემების სპექტრს, თუმცა ანალიტიკური ბაზისი და ემპირიული მეთოდოლოგიები კვლავ დავის საგანს წარმოადგენს. (Reuter, და სხვ., 2012:15)

სხვა კვლევის თანახმად, იმის გათვალისწინებითაც კი, რომ საგადასახადო დაბეგვრიდან მოგების განრიგების გამო დამდგარი შედეგები სახელმწიფო ბიუჯეტზე მალევე არ აისახება, ტრანსნაციონალური კომპანიების მოგების დაუბეგრავად გადინების შედეგად 2014 წელს მთელს მსოფლიოში დაახლოებით 600 მლრდ აშშ დოლარი ვერ იქნა მიღებული გადასახადების სახით. (Crivelli და სხვ., 2015:118)

კიდევ ერთმა კვლევამ აჩვენა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების კომპანიების მიერ როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ მიღებული და საგადასახადო თავშესაფრებში გატანილი მოგების ოდენობა 1980-2014 წლებში გაიზარდა 10-ჯერ. (Zucman, 2014:121-148). UNCTAD¹-ის მონაცემების თანახმად, მხოლოდ ოფშორული ცენტრების გამოყენების შედეგად, განვითარებადი ქვეყნები ტრანსნაციონალური კომპანიებიდან ყოველწლიურად ვერ იღებენ გადასახადებს 100 მლრდ აშშ დოლარის ოდენობით. თუ გავითვალისწინებთ, რომ განვითარებადი ქვეყნები უფრო მეტად არიან დამოკიდებული კომპანიებიდან მიღებულ მოგების გადასახადებზე, სავარაუდოდ განვითარებადი ქვეყნებში სახელმწიფო ბიუჯეტის დანაკარგები ამგვარი ქმედებებისგან გაცილებით მაღალია, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში. (UNCTAD, 2015:39).

ჩვენ აზრით, განვითარებადი ქვეყნებისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს საგადასახადო ბაზის მოწესრიგებას და ქვეყნებიდან მოგების გადინების შემცირებას. მათ სჭირდებათ ისეთი საგადასახადო რეჟიმები, რომლებიც იქნება ადვილად

ადმინისტრირებადი და გამოყენებადი ადგილობრივი ეკონომიკის სპეციფიკიდან გამომდინარე. იმის ნაცვლად, რომ აღნიშნულ ქვეყნებში ხდებოდა რთული საერთაშორისო ნორმების დანერგვა, უმჯობესი იქნება ძალისხმევის მიმართვა უფრო მკაფიო და მარტივი წესების შემოღებაზე, რომლებიც მეტად შეესაბამებოდა განვითარებადი ქვეყნებში საგადასახადო დაბეგვრის პოტენციალის განვითარებას.

საგადასახადო სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისთვის უკანონო ფინანსურ ნაკადებთან ბრძოლა უკანასკნელი წლების ერთ-ერთი უდიდესი გამოწვევაა. საყოველთაო გლობალიზაციის პირობებში საგადასახადო დაბეგვრის საკითხებში საერთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელობა დღითიდღე იზრდება, ვინაიდან ერთ რომელიმე ქვეყანაში მოქმედმა საგადასახადო სისტემამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს სხვა ქვეყნების ბიუჯეტების შემოსულობებზე. ამის მაგალითებია გადასახადებისგან თავის არიდება, ფინანსური აქტივების განთავსება საგადასახადო თავშესაფრებში, უკანონო ფინანსური ნაკადების მოძრაობა და სხვა.

UNCTAD-ის მონაცემებით, განვითარებადი ქვეყნებში 2030 წლამდე დახმარების პროგრამის განხორციელებას წელიწადში დასჭირდება დაახლოებით 2,5 ტრილიონი აშშ დოლარი. იმისათვის, რომ ამ პერიოდისთვის ლიკვიდირებულ იქნას უკიდურესი სიღარიბე (თუ დავუშვებთ, რომ დანაზოგები, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და განვითარების მიზნით გაწეული ოფიციალური დახმარებები დარჩება იმავე დონეზე), მაგალითად, აფრიკაში მშპ უნდა იზრდებოდეს წელიწადში მინიმუმ 15%-ით. (UNCTAD, 2016b:36)

განვითარებადი ქვეყნებში ინფრასტრუქტურის დაფინანსებაში არსებული დეფიციტი შეადგენს წელიწადში დაახლოებით 1,4 ტრლნ აშშ დოლარს. ამასთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სახელმწიფოებრივი დაფინანსება და განვითარების მიზნით ეფექტიანი საერთაშორისო თანამშრომლობა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში, შიგა სახელმწიფოებრივი რესურსების და კერძო კაპიტალის შიგა და საერთაშორისო ნაკადების მობილიზებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დაფინანსებაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

ბოლო წლების განმავლობაში შესამჩნევია შერეული დაფინანსების და მასთან დაკავშირებული ახალი ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების წახალისების ტენდენცია, რომლის ერთ-ერთ ინიციატორს გაერო წარმოადგენს. ტენდენციის მიზანია განვითარების ორმხრივი და მრავალმხრივი დაფინანსების გამოყენება სტრატეგიული მიდგომის საფუძველზე, რათა მოხდეს კერძო კაპიტალის მობილიზების ხელშეწყობა მაღალი უკუგების მქონე საინვესტიციო პროექტების განსახორციელებლად. (World Economic Fo-

¹ United Nations Conference on Trade and Development

rum and Organization for Economic Cooperation and Development, 2015:33)

შერეული დაფინანსების ინსტრუმენტებში მოიაზრება სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა, ინოვაციური ფონდები, კრედიტების გარანტიების სახელმწიფო პროგრამები, პოლიტიკური რისკებისგან დაზღვევა, სოციალური ობლიგაციები, სინდიცირებული სესხები და სხვა.

მსოფლიო დონეზე მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის დაფინანსება მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. დაფინანსების არარსებობა მსოფლიო დონეზე დანაზოგების სიმცირით არ არის განპირობებული. დღეისათვის გლობალურ დონეზე ინსტიტუციონალური ინვესტირების მართვაშია 115 ტრლნ აშშ დოლარის აქტივები. (Inter-Agency Task Force on Financing for Development, 2017:19) მათ უმეტესობას შეადგენს განვითარებული ქვეყნების ფასიანი ქაღალდები და სხვა დაბალშემოსავლიანი აქტივები. შესაბამისად, იმისათვის, რომ დანაზოგები განვითარების სფეროს პროექტებამდე მივიდეს, საჭიროა როგორც არსებული მრავალმხრივი განვითარების და სხვა საერთაშორისო ბანკების ჩართულობა, ისე ახალი ბანკების შექმნაც. განვითარების ბანკები შესაძლოა გახდნენ განვითარების პროცესის საკვანძო მონაწილეები, გრძელვადიანი დაფინანსების მიწოდების გზით უშუალოდ ფონდირების საკუთარი წყაროების, ახალი წყაროებისა და დამატებითი რესურსების, მ.შ. კერძო რესურსების მოზიდვის ხარჯზე.

მრავალმხრივი განვითარების და სხვა საერთაშორისო ბანკებს შეუძლიათ შეასრულონ მნიშვნელოვანი როლი არა მხოლოდ პირდაპირ დაფინანსებაში, არამედ შექმნან ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთა საშუალებით გრძელვადიან პერიოდში გაუმჯობესდება რისკების განაწილება მსესხებლებსა და გამსესხებლებს შორის. მათ ასევე შეუძლიათ კერძო სექტორის წინაშე არსებული ინფორმაციული დანაკლისის შევსება და, აუცილებლობის შემთხვევაში, კერძო ინვესტორებთან სხვადასხვა ფორმით თანამშრომლობა ერთობლივი დაფინანსების მექანიზმების ფარგლებში.

გარდა ამისა, მრავალმხრივი განვითარების ბანკებს შეუძლიათ სესხებზე მოთხოვნილებების დაკმაყოფილება დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში სოციალურ-ეკონომიკური პროექტების შეღავათიანი დაფინანსებისთვის. თუმცა, მრავალმხრივი განვითარების და სხვა საერთაშორისო ბანკები რაოდენობრივად ცოტაა მსოფლიოში, და ევროპის საინვესტიციო ბანკის გარდა, ისინი არ ამუშავებენ განსაკუთრებულ სურვილს და გულმოდგინებას სესხების გაცემაში. ამგვარად, დღეისათვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა მრავალმხრივი განვითარების ბანკების მართვის რეფორმა, რათა მათ შეძლონ თავიანთი კაპიტალური ბაზისა და სესხების მოცულობის გაზრდა.

მრავალმხრივი განვითარების ბანკების ორგანიზაციული სტრუქტურა და საქმიანობა მიმართულია გრძელვადიანი

კაპიტალის დეფიციტის აღმოფხვრაზე მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ სფეროებში ინვესტირებისთვის. ამ ბანკებს შორისაა ბოლო პერიოდში ჩამოყალიბებული განვითარების ახალი ბანკი და ინფრასტრუქტურული ინვესტიციების აზიის ბანკი. მათი შექმნა წარმოადგენს დადებით ტენდენციას არა მხოლოდ ზემოხსენებული მიზნების, არამედ მათი პოტენციური როლის გამო განვითარების ბანკების ქსელის გაძლიერებაში ეროვნულ, (სუბ) რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე. ამასთან აღსანიშნავია, რომ განვითარების ახალი ბანკები საჭირო დროს შეიქმნენ, რადგანაც ისინი შესაძლოა გახდნენ მნიშვნელოვანი მექანიზმი, რომელიც გარდაქმნის გლობალური დანაზოგების და ლიკვიდობის ნაწილს მანც მეთად აუცილებელ საწარმოო და გრძელვადიან ინვესტიციებად, მ.შ. მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად.

ახალ მრავალმხრივი განვითარების ბანკებს, რომლებშიც სამხრეთის ქვეყნები წამყვან როლს ასრულებენ, შეუძლიათ მჭიდროდ ითანამშრომლონ განვითარების მრავალმხრივ და ნაციონალურ ბანკებთან, რითაც შეავსებენ და გააუმჯობესებენ დაკრედიტების არსებულ პრაქტიკას. მიუხედავად იმისა, რომ მრავალმხრივი განვითარების ბანკებს შესაძლოა გააჩნდეთ სესხების სტრუქტურირების და დაფინანსების მეტი გამოცდილება, განვითარების ნაციონალურმა ბანკებმა უკეთ იციან ადგილობრივი პირობები, რაც ხელს უწყობს ეროვნულ დონეზე საინფორმაციო ასიმეტრის გამოსწორებას. განვითარების მრავალმხრივ და ნაციონალურ ბანკებთან სტრატეგიული პარტნიორობის დამყარების გზით, ახალ მრავალმხრივი განვითარების ბანკებს სავსებით შეუძლიათ ზეგავლენა მოახდინონ 21-ე საუკუნეში განვითარების დაფინანსების ბუნებაზე.

განვითარების მიზნით საერთაშორისო თანამშრომლობისა და საერთაშორისო დაფინანსების საკითხების განხილვისას შესასწავლია სხვადასხვა პრობლემები, რომლებსაც აწყდებიან განვითარებადი ქვეყნები ერთ სულ მოსახლეზე სხვადასხვა შემოსავლებისას და სტრუქტურული გარდაქმნის განსხვავებულ სტადიებზე. კერძოდ, რაც უფრო გვიან გადადიან ქვეყნები ინდუსტრიალიზაციისა და განვითარების ეტაპზე, მით მაღალია ძლიერი საინვესტიციო იმპულსის საჭიროება. (UNCTAD, 2016a:45) თუმცა დღემდე ღია რჩება მეორე საკითხი - როგორ უნდა იქნეს შენარჩუნებული განვითარებადი ქვეყნებში ზრდადი დინამიკა და მდგრადი განვითარება, ვინაიდან ბოლო ათწლეულის განმავლობაში ბევრმა საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნებმა, რომლებმაც დაიწყეს განვითარებულ ქვეყნებთან გარღვევების შემცირება, მომდევნო ეტაპზე განიცადეს ტენდენციის ცვლილება და გაღრმავების ისევ ძველებურად გადიდება. საჭიროა გვესმოდეს, რომ მდგრადი განვითარების შენარჩუნება ავტომატურად არ ხდება - საერთაშორისო თანამეგობრობა არა ნაკლები სერიოზულობით და დაკვირვებით უნდა მიუდგეს

აღნიშნულ ქვეყნებს და დაეხმაროს მათ, ისევე როგორც იმ ღარიბ ქვეყნებს, რომლებსაც სჭირდებათ თავდაპირველი ძლიერი საინვესტიციო იმპულსი, რათა დაიწყონ ჩამორჩენის დაძლევა და დაადგინონ მდგრადი განვითარების გზას.

განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობაში საგადასახადო რეფორმების წარმატებისა და ეფექტურობისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ადმინისტრაციული და ინსტიტუციური პოტენციალის განვითარება რთული და ხანგრძლივი პროცესია, რომლის შედეგები სწრაფად არ მიიღწევა. აღნიშნული პოტენციალის შესაქმნელად განვითარებად ქვეყნებს ხშირად არ გააჩნიათ რესურსები, ინვესტიციების სტაბილურად მაღალი დონე და პოლიტიკური სტაბილურობა. ყოველივე ეს მოითხოვს საერთაშორისო საზოგადოების შეთანხმებულ ძალისხმევას, რაც დახმარებას გაუწევს შესაბამისი ადამიანური და ფინანსური რესურსების გამონახვაში. (Organization for Economic Cooperation and Development, 2016: 8)

შიგასახელმწიფოებრივი რესურსების მობილიზება არ ხდება გლობალური ეკონომიკისგან იზოლაციის პირობებში, რაც მტკიცდება მზარდი შემოფოთებით იმ დანაკარგების გამო, რომლებიც ადგება სახელმწიფო ბიუჯეტებსა და ინსტიტუტებს უკანონო ტრანსსასაზღვრო ფინანსური ნაკადებით. სავარაუდოა, რომ ბევრ განვითარებად ქვეყნებში საგადასახადო რეჟიმებისა და ძირითადი მექანიზმების მუშაობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება რთული იქნება, თუ არ გავითვალისწინებთ იმ ზეგავლენას, რომელსაც ერთმანეთზე ახდენენ საგადასახადო დაბეგვრის ეროვნული სისტემები. ანალოგიურად, განვითარების ნაციონალურ ბანკებს შეუძლიათ კონსტრუქციული თანამშრომლობა განვითარების სუბრეგიონალურ და მრავალმხრივ ბანკებთან დაკრედიტების პრაქტიკის, აგრეთვე რეგულირების საერთო პოტენციალისა და ფინანსური ინჟინერინგის გასაუმჯობესებლად.

დასკვნა

ზემოთქმულიდან გამომდინარე, დასკვნის სახით შეგვიძლია ჩამოვაცალიბოთ, რომ ყველაზე მნიშვნელოვან პასუხვასაცემ საკითხებს დღეისათვის წარმოადგენს შემდეგი:

ა) ყველაზე უკეთ როგორ უნდა დალაგდეს რესურსების მობილიზების შიგა პოლიტიკური ინსტრუმენტები, მ.შ. გადასახადებით დაბეგვრის შიგა სისტემა, საბიუჯეტო-საფინანსო პოლიტიკა და განვითარების ბანკების ქსელი, რათა განვითარებადი ქვეყნების მთავრობებმა შეძლონ ეროვნული პოლიტიკის ცვლილება განვითარების გრძელვადიანი დაფინანსების ინტერესებში არასტაბილური და გაურკვეველი გლობალური ეკონომიკური მდგომარეობის პირობებში;

ბ) როგორ უნდა იქნას უზრუნველყოფილი განვითარების ხელშეწყობაზე მიმართული მაკროეკონომიკური პოლიტიკის უფრო მჭიდრო სისტემატური კოორდინაცია ქვეყნებს შორის, მ.შ. განვითარებადი ქვეყნებიდან უკანონო ფინანსური ნაკადების შემცირების, საგადასახადო საკითხებში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებისა და განვითარების მრავალმხრივი ბანკების საქმიანობის გაფართოვების მიზნით;

გ) რა როლი ეკისრება საერთაშორისო საჯარო ფინანსებს და თანამშრომლობას განვითარების მიზნით დაფინანსებისთვის სახსრების დეფიციტის შესავსებად; როგორ უნდა განისაზღვროს ოფიციალური დახმარება განვითარების მიზნით დაფინანსების ახალი ინსტრუმენტების გათვალისწინებით, რომლებიც ორიენტირებულია საჯარო და კერძო სტრუქტურების თანამშრომლობასა და შერეულ დაფინანსებაზე;

დ) რამდენად განსხვავდება დაბალი და საშუალო შემოსავლების დონის მქონე ქვეყნების წინაშე არსებული პრობლემები დაფინანსების ეროვნულ და საერთაშორისო მექანიზმებსა და გატარებად პოლიტიკასთან მიმართებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საჯარო ფინანსების მართვის რეფორმა საქართველოში, 2017. https://mof.ge/images/File/biujeti/European_Union_Finish_14_09_2017.pdf
2. Crivelli, E., De Mooij, R. and Keen, M. (2015). „Base erosion, profit shifting and developing countries“. International Monetary Fund Working Paper, № 15/118.
3. De Luna-Martinez, J. and Vicente, CL. (2012). „Global survey of development banks“. World Bank Policy Research Working Paper, № 5969.
4. Gaspar, V., Jaramillo L. and Wingender, P. (2016). „Political institutions, State building and tax capacity: Crossing the tipping point“. International Monetary Fund Working Paper, № 16/233.
5. Hermann, J. (2010). „Development banks in the financial liberalization era: The case of BNDES (National Bank for Economic and Social Development) in Brazil“. CEPAL (Economic Commission for Latin America and the Caribbean) Review, № 100.
6. Inter-Agency Task Force on Financing for Development. (2017). „Financing for Development: Progress and Prospects“. United Nations publication, Sales № E.17.I.5, New York.
7. Organization for Economic Cooperation and Development (2016). Total official support for sustainable development: A new statistical measure for the Sustainable Development Goals era. URL: <http://www.oecd.org/dac/financing-sustainable-development/tossd.htm>
8. Reuter, P. ed., (2012). „Draining Development? Controlling Flows of Illicit Funds from Developing Countries“. World Bank, Washington, D.C.
9. Studart, R. and Gallagher, KP. (2016). „Infrastructure for sustainable development: The role of national development banks“. Global Economic Governance Initiative Policy Brief, № 7.
10. UNCTAD, (2016a). „Trade and Development Report, 2016: Structural Transformation for Inclusive and Sustained Growth“. United Nations publication, Sales № E.16.II.D.5, New York and Geneva.
11. UNCTAD, (2016b). „Economic Development in Africa Report 2016: Debt Dynamics and Development Finance in Africa“. United Nations publication, Sales № E.16.II.D.3, New York and Geneva.
12. UNCTAD, (2015). „World Investment Report, 2015: Reforming International Investment Governance“. United Nations publication, Sales № E.15.II.D.5, New York and Geneva.
13. World Economic Forum and Organization for Economic Cooperation and Development. (2015). Blended Finance, Vol. 1: A Primer for Development Finance and Philanthropic Funders (Geneva).
14. Zucman, G. (2014). „Taxing across borders: Tracking personal wealth and corporate profits“. Economic Perspectives, № 28 (4).
15. ЮНКТАД, (2014). „Доклад о торговле и развитии, 2014: глобальное управление и пространство для маневра в политике в интересах развития“. Издание Организации Объединенных Наций, в продаже под № R.14.II.D.4, Нью-Йорк и Женева.

IMPORTANCE OF INTERNATIONAL COOPERATION IN MOBILIZING AND DEVELOPING DOMESTIC FINANCIAL RESOURCES OF THE STATE

MEDEA CHELIDZE

PhD in Economics, Professor,
Georgian Technical University, Georgia
medach7@yahoo.com

<https://doi.org/10.35945/gb.2018.06.034>

TAMARI BERIDZE

PhD in Technology, Professor,
Georgian Technical University, Georgia
t.beridze@yahoo.com

KEYWORDS: FINANCIAL RESOURCES, TAX DISCIPLINE, MANAGEMENT OF PUBLIC FINANCES, STATE REVENUES, MOBILIZATION OF INTERNAL RESOURCES

SUMMARY

Many of the obstacles that Governments face in developing countries in effectively managing domestic financial resources are due to structural conditions and related development problems. For example, a high concentration of wealth and high inequality of income are often associated with political processes and the weakening of the rule of law. Similarly, dependence on the exploitation of natural resources can lead to unpredictability and instability in the structure of public revenues, which limits the ability of the state to plan and maintain the level of investment consistent with long-term development goals.

Measures aimed at strengthening the public financial management system and, therefore, mobilizing domestic pub-

lic resources should be carried out taking into account these various problems, often of a structural nature. Important for the success and effectiveness of tax reforms in most developing countries is the recognition that the development of administrative and institutional capacity at the national level is a complex and time-consuming process, the results of which will not be immediately apparent. To create such a potential, developing countries may often lack resources, expertise and political stability. This will require concerted efforts of the international community to help them find the necessary human and financial resources to support measures aimed at improving the overall system of public finance regulation and mobilizing domestic public resources.